სიცოცხლის დაზღვევა
საინფორმაციო ფურცელი

თქვენ ეცნობით სს "მიკრობანკი კრისტალის სესხზე მიბმული სიცოცხლის დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაციაა: სს სადაზღვევო კომპანია "ბიბი"
მისამართი: თბილისი, წმ.ქეთევან დედოფლის გამზ, 1
ცხელი ხაზი / ტელეფონი: +995 322 921 921
ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე) ორგანიზაციაა: სს მიკრობანკი კრისტალი

დაზღვევის ხელშეკრულების სახე
წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სს მიკრობანკი კრისტალის სესხზე მიბმული სიცოცხლის დაზღვევის პირობების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი "პოლისი", რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თქვენს მიერ დაზღვევის შეძენა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს.

დაზღვეული რისკები
დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება, გარდა ხელშკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა და დაზღვევის პროცედურით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თქვენი ფინანსური თანამონაწილეობის შესახებ
დაზღვევის შესაძენად, უნდა გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია მოსარგებლის მეშვეობით. რისკის ინდივიდუალური შეფასების პროცესში, მზღვეველის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ გექნებათ დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ხარჯი. ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია გამოკვლევების სახეობასა და ასეთი გამოკვლევებისათვის თქვენს მიერ შერჩეულ ლაბორატორიაზე ან სამედიცინო დაწესებულებაზე.
როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?
სს მიკრობანკი კრისტალის მიერ, პოლისში მითითებული სესხისა და პოლისის გაცემისთანავე.

რა შემთხვევების დროს აქტიურდება სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის პოლისი?

- სრული და მუდმივი ქმედობაუნარიანობის დაკარგვა/ინვალიდობა უბედური შემთხვევის შედეგად;

- ნაწილობრივი, მაგრამ მუდმივი ქმედობაუნარიანობის დაკარგვა/ინვალიდობა უბედური შემთხვევის შედეგად;
- მსესხებლის გარდაცვალება

რა შემთხვევების დროს არ გააქტიურდება სადაზღვევო პოლისი სესხის დასაფარად?

***<u>დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.</u>

- თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის ალკოჰოლური/ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ მსესხებელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ეს ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;
- თუ დაზღვევამდე დიაგნოსტირებულია რაიმე დაავადება (მათ შორის: ცე ჰეპატიტი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, სისტემური დაავადება), რომელიც გვევლინება გარდაცვალების მიზეზად;
- დაზღვევა არ ვრცელდება პირებზე, რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა ან რომელნიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.
- როდესაც გარდაცვალების მიზეზი უცნობია.
- ომის ან ომის მსგავსი ოპერაციების დროს (გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი),
- ტერორისტული აქტების, მათ შორის, შეიარაღების გამოყენება, რაიმე სახის ასაფეთქებელი ან ბირთვული ხელსაწყოების აფეთქება, რაიმე მყარი, თხევადი ან აიროვანი ქიმიური აგენტის ან/და ბიოლოგიური აგენტის ემისია, გამოყოფა, გაფრქვევა, გაშვება ან გაჟონვა, მათ შორის, ჰაერის ან მიწოდებული წყლის ან სურსათის მოწამვლა და შენობების და სატრანსპორტო საშუალებების განზრახ განადგურება. გამონაკლისი ვრცელდება ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც განხორციელებულია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელის შეშლის, ჩახშობის მიზნით, ან ასეთ აქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებზე.
- აქტიური მონაწილეობა ომში ან ომის მსგავს ოპერაციებში.
- მაიონიზებელი რადიაციით ან ბირთვული საწვავის რადიაციით ან ბირთვული საწვავის აალების შედეგად გამოყოფილი ბირთვული ნარჩენების ან ნებისმიერი ფეთქებადი ბირთვული

მოწყობილობის ან ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, მომწამვლელი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო თვისებების შედეგად დაბინძურება.

- ნებისმიერი ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გამოძალვით, გატაცებით და გამოსასყიდის გადახდით ან დაზღვეულის უკანონოდ დაკავებით ან ნებისმიერი საჰაერო ხომალდის, ავტომობილის, მატარებლის ან გემის გატაცებით, რომლითაც მგზავრობს დაზღვეული.
- დაზღვეული პირის მონაწილეობა პროფესიონალურ, ექსტემალურ, ან/და რისკის შემცველ სპორტის სახეობებში (კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, აერონავტიკა, პარაშუტით ხტომა, პარაგლაიდინგი, ჯომარდობა, წყალში ხტომა, ყვინთვა ან ცურვა სასუნთქი მოწყობილობით, დოღი, სპორტული რბოლა სწრაფი კატერებით, მანქანებით ან სხვა ძრავიანი საშუალებით, საბრძოლო ხელოვნება), როდესაც მონაწილეობა აღნიშნულ სახეობებში იწვევს დაზღვეული მოვლენის ხდომილებას.
- კონკრეტული მსესხებლის დაზღვევიდან პირველი 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში დამდგარი/დიაგნოსტირებული კრიტიკული მდგომარეობებით/დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალება (მიუხედავად გარდაცვალების თარიღისა).

სადაზღვევო შემთხვევისას

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ცნობის (ინფორმაციის) მიღებისას მოსარგებლე ან სხვა უფლებამოსილი პირი აცნობებს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ და წარუდგენს ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტაციას;

შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მზღვეველს უნდა გაეგზავნოს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) კვირის განმავლობაში. ამასთან, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება ისეთი შემთხვევები, თუ დაზღვეულის გარდაცვალებიდან მოსარგებლის ინფორმირებამდე გასულია 45 კალენდარულ დღეზე მეტი.

სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი პირობაა მოსარგებლის მიერ მზღვეველისთვის შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- დაზღვეულის მიერ დაზღვევის გაფორმების მომენტში შევსებული სამედიცინო განაცხადი. (თუკი სესხის გაცემის მომენტში სავალდებულო იყო აღნიშნული განაცხადის შევსება)
- დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის ასლი ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი პირის გარდაცვლილად აღიარების შესახებ;
- სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები და დაავადების განვითარების სტადიები, კერძოდ ფორმა #106-4 და ფორმა #100 ან გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი;
- დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი;
- სასესხო ხელშეკრულების ასლი და სასესხო ამონაწერი;
- სადაზღვევო პოლისის ასლი;

- დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი;
- თუ სხვა წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება გარდაცვალების მიზეზი მზღვეველის მოთხოვნის შესაბამისად სამედიცინო/სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი უშუალო მიზეზი;

კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.

რა ვადაში ხდება სესხის ვალდებულების დაფარვა?

- ანაზღაურება გაიცემა ზემოხსენებული დოკუმენტებისა და დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტების მზღვეველის მიერ მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
- შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

➢ **დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება უბედური შემთხვევით გამოწვეული სრული მუდმივი და ნაწილობრივი მუდმივი შრომისუუნარობის შემდეგი შემთხვევები:**

- თუ შრომისუუნარობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
- თუ შრომისუუნაროება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ბირთვული ენერგიას (ბირთვული რეაქციები, დასხივება, დაბინძურება);
- თუ შრომისუუნაროება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტივობით გამოწვეულ დაბინძურებას ნებისმიერი ბირთვული საწვავის ან მისი აალების შედეგად;
- თუ შრომისუუნაროება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას საზღვაო, სამხედრო ან საჰაერო ძალების სამსახურში ან ასეთის მოქმედებებში;
- თუ შრომისუუნაროება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობის ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;
- თუ შრომისუუნაროება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;

- თუ შრომისუუნაროობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ფსიქიკურ ავადმყოფობას ან გონების დაბინდვას;
- თუ შრომისუუნაროობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ინტოქსიკაციას, ან თუ შემთხვევა მოხდა დაზღვეულის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს;
- თუ შრომისუუნაროობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ინფექციურ დაავადებას;
- თუ შრომისუუნაროობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;
- თუ შრომისუუნაროობა პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან ამგვარის მცდელობას.

სადაზღვევო ანაზღაურება

თანხის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს (სს მიკრობანკი კრისტალი) სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნის (წერილობითი ფორმით) წარდგენის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლეზე ყოველთვის გაიცემა (უნაღდო ანგარიშსწორების გზით) სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

- მსესხებლის 75 წლის ასაკის მიღწევისთანავე დაზღვევა წყდება და აღარ ექვემდებარება ავტომატურ გაგრძელებას;